ხაშურის მოამბე

№43 (244) 11 ნოემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

5 ნოემბერს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილი იყო ათი საკითხი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებასა და განკარგულებაში.

სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ორი მიწის ნაკვეთი) პრივატიზაციის გეგმა.

საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანებისათვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლობის საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში მიმდინარე წლის 10 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად გრძელდება

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 კილომეტრნახევრიანი ასფალტის საფარის დაგება.

7 ნოემბერს,ადგილზე იმყოფებოდნენ და სამუშაოებს აკვირდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.მათი განმარტებით, სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტების პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები გაცილებით უკეთესი ექნებათ.

პროექტი ორწლიანია, თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 2 947 999 ლარს შეადგენს.

2020 წლის ივლისში, ხაშურს ექნება ახალი, შემოვლითი 13 კმ-იანი ოთხზოლიანი ცემენტ-ბეტონის მაგისტრალური გზა

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, ზემო ოსიური–ჩუმათელეთის გზის მშენებლობა გრძელდება

2019 წლის ბოლოს 5,8 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდება

ახალი გზა აგარა-ზემო ოსიურის ბოლო მონაკვეთზე დაიწყება და სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან დაერთდება არსებულ გზას

ამ დროისთვის, ზემო ოსიური-ჩუმათელეთის პირველ მონაკვეთზე ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება და სახიდე გადასასვლელების მშენებლობა მიმდინარეობს

ზემო ოსიური–ჩუმათელეთის გზა, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის. ამ გზით, ჩრდილოეთიდან გვერდს ავუვლით ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და გამოვალთ რიკოთის გვირაბთან. ეს მონაკვეთი ერთ-ერთი ურთულესია. პროექტის ფარგლებში აშენდება: 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟე სისტემები

შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე

7 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი, ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლის პედაგოგ ნონა ტეფნაძის ინიციატივით, ამავე სკოლის მეცხრეკლასელებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი მოსწავლეთათვის გენდერული თანასწორობის საკითხების გაცნობა იყო. მოსწავლეები გაეცნენ იმ საერთაშორისო და ადგილობრივ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას.

შეხვედრაზე იმსჯელეს CEDAW კონვენციის, გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონების თაობაზე.

გაიმართა დისკუსია. აღინიშნა, რომ საკითხის უფრო ღრმად გასაცნობად, გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ გაეროს განვითარების პროექტში „ახალგაზრდული იდეა ურბანული განვითარებისთვის“ სურამელი ახალგაზრდებიც იყვნენ ჩართულნი. ამ დღეებში, სურამში, სამი პროექტის პრეზენტაცია და არჩევნები გაიმართა, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი პროექტს- „ბულვარი-სურამის ახალი სიცოცხლე“-ს დაუჭირა.

- გამარჯვებული პროექტი -

ბულვარი - სურამის ახალი სიცოცხლე

პროექტი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხუთ ქალაქსა და ერთ დაბაში ხორციელდება, ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, იფიქრონ იმაზე, თუ რა სჭირდება მათ ქალაქებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებს განვითარებისთვის, თავად ჩაერთონ პროცესში და შეიტანონ წვლილი ამ განვითარებაში.

რა იდეები და ინიციატივები ჰქონდათ სურამელ ახალგაზრდებს, როგორ წარმოუდგენიათ მათ დაბის მომავალი და რას სთავაზობენ ისინი თანადაბელებს? თავდაპირველად, პროექტში 5 გუნდი დარეგისტრირდა, თუმცა, შემდეგ ეტაპზე მხოლოდ სამი მათგანი გადავიდა. შესაბამისად, 3 ნოემბერს გამართულ კენჭისყრაზე სურამელებს არჩევნის გაკეთება მათ მიერ წარმოდგენილი სამი პროექტიდან მოუწიათ.

„ბულვარი“ სურამის ახალი სიცოცხლე“

ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ახალგაზრდებმა წარადგინეს, სურამში ბულვარის მოწყობას ითვალისწინებს. მისი ავტორები დაბაში მცხოვრები ახალგაზრდები – მარიამ ბარბაქაძე, თამარ კიკნაძე და საბა ბარბაქაძე არიან. ახალგაზრდები ამბობენ, რომ ბულვარის მოწყობა სურამის რკინიგზის სადგურის მიტოვებულ ტერიტორიაზეა შესაძლებელი. იყო დრო, როდესაც ხაშურიდან სურამში მატარებელი დადიოდა, თუმცა, უკვე ათწლეულებია, რკინიგზა გაუქმებულია, მატარებელი აღარ დადის, შენობები უპატრონობისგან ნელ-ნელა ინგრევა და ნადგურდება, ტერიტორია კი დაბინძურებული და გასაწმენდია.

ეს ტერიტორია დღემდე საქართველოს რკინიგზის საკუთრებაშია და შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა მის მოვლა-პატრონობას ვერ ახერხებს. ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ამ ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონები, საფეხმავლო და ველობილიკები, ღია და დახურული კინოთეატრები, ბიბლიოთეკა, ბავშვთა გასართობი სივრცეები უნდა მოეწყოს, განახლდეს არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, დღემდე შემორჩენილი შენობებიც, რომლებსაც სიძველე შეუნარჩუნდება, თუმცა, ახალი ფუნქციით დაიტვირთება. სივრცე შშმ პირებისთვის ადაპტირებული უნდა გახდეს. გუნდის წევრების თქმით, მათი პროექტი ტურისტული პოტენციალის გაზრდას შეუწყობს ხელს. სასეირნო ბულვარი გახდება ცენტრალური ქუჩა და ის იქნება დამაკავშირებელი ხიდი სურამის ყველა ღირშესანიშნაობასთან. შესაძლებელი იქნება ბულვარის ტერიტორიაზე ფესტივალების, გამოფენა-გაყიდვების და სხვა ღონისძიებების მოწყობა. მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს კი შესაძლებლობა ექნებათ, იჯარით აიღონ ბულვარის მიმდებარე ტერიტორია და განავითარონ თავიანთი მცირე ბიზნესი.

ახალგაზრდების გათვლებით, პროექტის ღირებულება დაახლოებით 1,5 მილიონი ლარია.

„ჭკვიანი სივრცე“ - სურამი კიდევ ერთი იდეა, რომელიც სურამელ ახალგაზრდებს - მერაბ არევაძეს, ნინო ხაჩიძეს და სულხან ტაბატაძეს ჰქონდათ, დაბაში მულტიფუნქციური სივრცის გაჩენას გულისხმობს.

გუნდის წევრების თქმით, სურამს, რომელიც საკურორტო ზონაა, ჯერჯერობით არ აქვს განვითარების გაწერილი სტრატეგია, დაბის კეთილმოწყობა მიმდინარეობს ქაოტურად, მოსაწესრიგებელია ტურისტული ინფრასტრუქტურა და დაბაში სხვადასხვა დატვირთვისა და ფუნქციის მქონე სივრცეების დეფიციტია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კულტურულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით მონაწილეობას, ასევე არ არის მიზნობრივად ფორმირებული ნეიტრალური სივრცეები, რომელიც სამოქალაქო გაერთიანებისა და გააქტიურების მაპროვოცირებელი პლატფორმა იქნება.

ახალგაზრდების თქმით, „ჭკვიანი სივრცე“ გულისხმობს დაბის ცენტრში, საბავშვო ბაღისა და სტადიონის მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე მულტიფუნქციური, ეკოლოგიური სტანდარტის მქონე, უფასო და შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის გაჩენას, რომელიც აღჭურვილი იქნება ძირითადად მზის ენერგიაზე მომუშავე რესურსებით. სივრცე იქნება როგორც ღია, ისე დახურული ტიპის მოძრავი ვიტრაჟებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება სივრცის გაზრდა-დაპატარავება და გათვლილი იქნება 30-40 ადამიანზე. შენობა აღჭურვილი იქნება ელექტროენერგიით, ინტერნეტით და ეკოენერგიაზე მომუშავე გათბობის სისტემით. სივრცეში განთავსებული იქნება სამუშაო და შეხვედრის ფორმატისთვის საჭირო აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მაგიდები, სკამები, პროექტორი, ღონისძიებების დაანონსების დაფა და ა.შ. ასევე, განთავსდება ბიბლიოთეკაც. გარე სივრცეს კი ექნება დასასვენებელი სკვერის ფუნქცია, სადაც დაიდგმება მაგიდები და სკამები.

ახალგაზრდების გათვლით, პროექტის ღირებულება 67 909 ლარია.

პროექტის ავტორები ამბობენ, რომ „ჭკვიანი სივრცის“ შექმნა მოაწესრიგებს სურამის ესთეტიურ სახეს და შექმნის ახალ, მიმზიდველ და საინტერესო ადგილს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოქალაქეების ერთმანეთთან დაახლოებას, თემის განვითარებისთვის საჭირო იდეებისა და ინიციატივების ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივ ჩართულობასა და მონაწილეობას.

„ახალი მზიური“

კიდევ ერთი პროექტი, რომლის ავტორებიც ანა ბარბაქაძე, მარიამ კიკნაძე და მარიამ ბარბაქაძე არიან, სურამში, „მზიურის“ ტერიტორიის განახლებას გულისხმობდა.

აღნიშნული ტერიტორია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკუთრებაშია, ამიტომაც მას ადგილობრივი თვითმმართველობა – ვერ, სამინისტრო კი არ პატრონობს. „ახალი მზიური“ გულისხმობს მზიურის ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით 5700 კვ.მ-ზეა განთავსებული, რეკრეაციული ზონის ინფრასტრუქტურულად გამართვას, ტერიტორიაზე კალათბურთის მოედნის, ტრენაჟორებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე სკვერის მოწყობით. დასასვენებელი სივრცე შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება.

გუნდის წევრების თქმით, სურამის ჰავა და კლიმატი შესაფერისია ბავშვთა და მოზარდთა სუნთქვის სისტემათა დაავადებების სამკურნალოდ, რის გამოც უახლოეს წარსულში სურამი მნიშვნელოვანი მიზიდულობის ცენტრი იყო, თუმცა, დღესდღეობით, ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, სურამის ტურისტული პოტენციალი ვერ პროგრესირებს.

„სურამის ტერიტორიაზე არ არსებობს ერთიანი ტურისტულ-რეკრეაციული და გასართობი სივრცე, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებზე და სადაც ყველა ასაკის ადამიანი შეძლებს თავისუფალი დროის საკუთარი ინტერესისამებრ გატარებას. არ არსებობს საშუალება, მცირეწლოვანი ბავშვები წაიყვანონ ერთიან, უსაფრთხო და სატრანსპორტო საშუალებებისგან იზოლირებულ გარემოში“,– ამბობენ ახალგაზრდები. მსგავსი სივრცის არსებობის საჭიროება მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვითაც გამოიკვეთა და სწორედ აქედან გაჩნდა მზიურის ტერიტორიის მოწყობა-განახლების იდეა. მათი გათვლებით, პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 300 000 ლარია.

„ტერიტორია იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს სხვადასხვა სახის გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები: ფესტივალები, გამოფენა-გაყიდვები, კონცერტები, შემოქმედებითი ჯგუფების წარმოდგენები, ფლეა მარკეტ-ი, საქველმოქმედო აქციები და ა.შ. ასევე, ამ ტერიტორიაზე მდებარე შენობების ათვისება სხვადასხვა კომერციული საქმიანობის მიზნით უფრო მრავალფუნქციურს გახდის მზიურის პარკს. შესაძლოა საცურაო აუზის, საკონფერენციო დარბაზისა და კაფე-ბარების მოწყობა“,– ფიქრობენ პროექტის ავტორები.

კენჭისყრაში მონაწილე 513 ადამიანიდან, 226 ხმა ბულვარის იდეამ დააგროვა, 187 ხმა – “ახალმა მზიურმა”, ხოლო 96 ხმა – “ჭკვიანმა სივრცემ”. 4 ბიულეტენი კი გაბათილდა.

საქველმოქმედო სამედიცინო აქცია გომში

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში პედიატრიული პაციენტებისთვის საქველმოქმედო სამედიცინო აქცია მოეწყო.

პაციენტებს სამედიცინო კონსულტაცია გაუწიეს „ევექსის“ ჰოსპიტალის და ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის სპეციალისტებმა. აქციის ფარგლებში, პედიატრიულ პაციენტებს შესაძლებლობა მიეცათ უსასყიდლოდ მიეღოთ ბავშვთა ზოგადი ქირურგის, ბავშვთა ყბა-სახის ქირურგის, ორთოპედ-ტრავმატოლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, ენდოკრინოლოგის, პედიატრების, ოფთალმოლოგისა და ნევროლოგის მომსახურება.

სამედიცინო საქველმოქმედო აქციის მიმდინარეობას გაეცნენ სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში გიორგი ხოჯევანიშვილი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს ექიმებს გაწეული ქველმოქმედებისთვის და პაციენტებსაც გაესაუბრნენ.

სამედიცინო აქციის ჩატარება სოფელ გომის მოსახლეობამ მათთან ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრისას მოითხოვა.

აქციის ორგანიზება შესაძლებელი გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურში

ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათი წვლილი განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინოა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, გორის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება ,,მანდილოსნის" და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას რევოლუციამდელ საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის დაბალ ფენებში პირველდაწყებითი განათლებისა და კულტურის შეტანის თვალსაზრისით. მისი მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივი იყო, ხსნიდა სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ქართული მწერლობის, მუსიკის, მხატვრობის, მეცნიერების, თეატრის განვითარებაში. ცალკე უნდა აღინიშნოს საზოგადოების ღვაწლი სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებისა, აღრიცხვისა და დაცვის საქმეში. თავისი წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად საზოგადოებას ნება ეძლეოდა, თავის სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე განეხორციელებინა, ეს მაშინ, როდესაც მთავრობის სკოლებში ქართული ენის დევნასა და შევიწროვებას ჰქონდა ადგილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ფართო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან და დაბა-ქალაქებთან. გამონაკლისს არც ხაშური და მისი რაიონი წარმოადგენდა.

საზოგადოების ხაშურსა და მის რაიონში მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიიდან შეიძლება ორი ეტაპი გამოვყოთ: I. XIX საუკუნის 80-90-იანი წლები, როდესაც ხაშურისა და მისი რაიონის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოების საქმიანობის მიმართ, ეხმარება მას მატერიალურად, მორალურად, ხოლო საზოგადოების საქმიანობა რაიონში შედარებით სუსტია და II. XX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ ეტაპზე საზოგადოების ინტერესი ხაშურისა და მისი რაიონისადმი საკმაოდ ინტენსიურია, რაც გამოიხატება ხაშურში საზოგადოების განყოფილების შექმნით, ბიბლიოთეკის დაარსებით, სკოლებისადმი დახმარებებით და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებით.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რაიონში წკგს-ის მოღვაწეობის ისტორიიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქვიშხეთში, სურამსა და ვაყაში დაწყებითი სკოლების გახსნის საკითხი. ეს ის პერიოდია, როცა ხაშურის რაიონში არ არსებობს არცერთი უწყების რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულება. იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესა ყოველთვის დიდი გულისტკივილით მიანიშნებდა ამ ფაქტზე და არაერთხელ მიუმართავს საზოგადოების გამგეობისთვის ხაშურის რაიონში სკოლების გახსნის თაობაზე. სხვათაშორის, არც გამგეობის წევრები იჩენდნენ უყურადღებობას საკითხის მიმართ. 1881 წლის 29 ოქტომბერს იაკობ გოგებაშვილმა გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი ქვიშხეთისა და სურამში სკოლების გახსნის შესახებ, რაც მეტად საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია ხაშურის რაიონისადმი დიდი პედაგოგის დამოკიდებულების შესწავლის თვალსაზრისით. იგი მოითხოვდა, რომ გამგეობას აღნიშნულ სოფლებში თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა სკოლების გახსნის თაობაზე განაჩენის შესადგენად, მაგრამ საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადაიდო.

იმავე წლის 12 ნოემბერს, გამგეობამ კვლავ მოისმინა ი. გოგებაშვილის წინადადება ქვიშხეთისა და სურამში სკოლების გახსნის შესახებ. ამჯერად გამგეობამ კომისია შეადგინა ი. გოგებაშვილისა და ი. მაჩაბლის შემადგენლობით. კომისიას დაევალა, აღნიშნულ საკითხზე შეემუშავებინა წინადადებები და გამგეობისათვის წარედგინა განსახილველად.

საზოგადოების გამგეობის ანგარიშიდან, რომელიც მოიცავს პერიოდს 1881 წლის 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე, ირკვევა, რომ ი. გოგებაშვილის წინადადებაზე გამგეობას შემდეგი მიუღია გადაწყვეტილება: „რადგან ქართლი ბევრით უფრო ღარიბია სასოფლო სკოლებით, ეცადოს იგი სკოლების გახსნას შემდეგს დიდს სოფლებში... სურამში და ქვიშხეთში".

70-80-იან წლებში დ. ყიფიანის მიერ არაერთხელ გამოითქვა სურვილი ქვიშხეთში სკოლის გახსნის შესახებ. იგი მზად იყო, სკოლისათვის უფასოდ დაეთმო მიწის ნაკვეთი და სხვა სახის დახმარებაც აღმოეჩინა, მაგრამ რატომღაც სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. 1884 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული წერილით დ. ყიფიანის ქალიშვილი ელენე ყიფიანი თხოვნით მიმართავს საზოგადოების გამგეობის მდივანს გრიგოლ ყიფშიძეს, რომ საზოგადოებას აეღო ხელში სკოლის გახსნის საქმე ქვიშხეთში.

როგორც წერილიდან ირკვევა, ქვიშხეთის საზოგადოება თავისი განაჩენით მომავალი სკოლის მასწავლებლისთვის წელიწადში იძლეოდა 300 მანეთს. სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა კი 400 მანეთის გაღებას ითხოვდა, რისი საშუალებაც გლეხობას არ ჰქონდა.

„სოფელი დიდ უარზედ არის, – წერდა ე. ყიფიანი, – სამასი მანეთიც გვიძნელდებაო და ოთხასს ხომ არ იძლევიან და არა. ახლა საქმე ასე არის შეჩერებული. მართალია, ოფიციალურად არ მოსვლია სოფელს უარი, მაგრამ საქმე მიჩუმებულია და არაფერს ბაიბურში კი არ არიან".

რადგან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის გახსნისათვის წლიურად მხოლოდ 350 მანეთი იყო საჭირო, ამიტომ ე. ყიფიანი მიიჩნევდა: „უკეთესი იქნება, რომ აქაური სკოლა წერა-კითხვის საზოგადოების ხელით გაიხსნას და იმის მფარველობაში იყოს". ამიტომ იგი აპირებდა შეედგინა ახალი განაჩენი წ.კ.გ.ს-ის სახელზე და გამოთქვამდა იმედს, რომ სოფლის მოსახლეობა მასზე ხელს მოაწერდა. წერილში იგი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი აზნაურობა თანახმა იყო გაეღო 50 მანეთი. „აქაური აზნაურობა იძახის, – ნათქვამია წერილში, – რაც დასჭირდება სკოლას 300 მანეთზე მეტი, ჩვენ ვიკისრებთო".

1884 წლის 2 ნოემბერს გამგეობამ განიხილა ელ.ყიფიანის წერილი ქვიშხეთში საზოგადოების სკოლის გახსნის შესახებ და საჭიროდ ჩათვალა, დალოდებოდა სასწავლო ოლქის მზრუნველის ოფიციალურ პასუხს, რომლის გათვალისწინებითაც იგი, მისცემდა საკითხს მსვლელობას ქვიშხეთში სკოლის გახსნის შესახებ.

მიუხედავად, ყიფიანების მცდელობისა, ამ ეტაპზე ქვიშხეთში სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. აქ მხოლოდ 1896 წელს გახდა შესაძლებელი სკოლის დაარსება.

საზოგადოების გამგეობამ დიდი დახმარება გაუწია სოფელ ვაყის მცხოვრებლებს სკოლის გახსნის საქმეში. მან 1884 წლის 25 მაისს განიხილა სოფ. ვაყის სასოფლო საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნის თაობაზე. განაჩენით, როგორც ჩანს, ვაყის საზოგადოება, სკოლის გახსნის შემთხვევაში აპირებდა მის გადაცემას საზოგადოებისათვის.

გამგეობამ გადაწყვიტა, თხოვნით მიემართა თბილისის გუბერნატორისათვის, რათა დაემტკიცებინა სოფ. ვაყის საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნის შესახებ. ასეთივე თხოვნით მიმართა საზოგადოებამ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

როგორც ირკვევა, ვაყაში სკოლის გახსნის საკითხი საკმაოდ გახმაურებულა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეს ე. გულისაშვილს თხოვნითაც კი მიუმართავს საზოგადოების გამგეობისათვის სოფ. ვაყის მომავალ სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ. გამგეობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოფელ ვაყაში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1885 წელს გაიხსნება სკოლა და „...მაშინ სახეში (მხედველობაში – თ.ლ) ეყოლება მმართველობას იგი' (ე.ი. ე. გულისაშვილი – თ.ლ.).

1884 წლის 27 სექტემბერს ქშწკგს გამგეობამ სხდომაზე განიხილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სააგენტოების დაარსების საკითხი. ასეთი სააგენტოები, მართლაც, შეიქმნა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადგილებზე საზოგადოების საქმიანობაში, აგრეთვე მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სხდომის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხაშურსა და სურამში აგენტად დაინიშნა ქაიხოსრო ხერხეულიძე, ხოლო გორის მაზრაში ბრილელი მემამულე ნიკო დიასამიძე.

სხვა დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1884 წელს საზოგადოების გამგეობამ სურამში ეკატერინე მუატს სთხოვა აგენტობა, მაგრამ მან უარი განაცხადა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნა ქ. ხერხეულიძე საზოგადოების აგენტად სურამში.

1884 წლის 16 სექტემბერს გამგეობა ე. თაყაიშვილის წინადადებით ზემო ჭალაში თავის აგენტად ნიშნავს მღვდელ მათე სუხიევს, რომლის დიდი ძალისხმევით თავის დროზე 1881 წელს აქ დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი. მის მიერ გადარჩენილი არაერთი საინტერესო ხელნაწერი და ნივთი გადაეცა წ.კ.შ.ს.გ-ს.

სურამში ქაიხოსრო ხერხეულიძე 1890 წლამდე მუშაობდა აგენტად. იგი 1890 წლის 14 იანვარს თხოვს გამგეობას, გაათავისუფლოს აგენტობიდან ქ. ალექსანდროპოლში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით და წინადადებას იძლევა სურამის სკოლის მასწავლებლის ალ. ციმაკურიძის მის ადგილზე დანიშვნის შესახებ.

გამგეობის გადაწყვეტილებით, ქშწკგს-ს აგენტად სურამში დაინიშნა აქვე ექიმად მომუშავე დიმიტრი შალიგინის მეუღლე. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ალ. ციმაკურიძისაგან მან უნდა გადაიბაროს ყოველგვარი კორესპონდენცია და გამგეობისგან გაგზავნილი წიგნები. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოების გამგეობა ამ დროს ხაშურის რაიონის მოსახლეობაში აგენტების საშუალებით უკვე ავრცელებდა თავის გამოცემებს, რაც ერთ-ერთი გზა იყო მათში კულტურისა და განათლების გავრცელებისათვის.

1891 წლის 17 თებერვალს გამგეობამ განიხილა სურამელი ვაჭრის მიხეილ შურდაიას თხოვნა მისთვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ქართული წიგნების გაგზავნის შესახებ. მას რეკომენდაციას უწევდა ცნობილი ხალხოსანი და პედაგოგი მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გამგეობაში მ. ყიფიანის წერილობითი რეკომენდაციის წარდგენის შემდეგ მ. შურდაიას „გაეგზავნოს წიგნები და რვეულები ათას თუმნამდე."

80-90 წლებში ხაშურის რაიონის ინტელიგენცია აქტიურად ეხმარებოდა საზოგადოებას ფინანსურ–მატერიალური მდგომარეობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებაში. ისინი მართავდნენ კონცერტებს, საღამო-წარმოდგენებს და სხვა ღონისძიებებს და აქედან მიღებულ შემოსავალს უგზავნიდნენ გამგეობას.

ერთ-ერთი ასეთი პირველი ღონისძიება თეატრალური წარმოდგენა ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილის, ნინო ერისთავისა და ზემო ჭალის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლის ალ. ნათაძის თაოსნობით გაიმართა 1884 წლის 12 აგვისტოს სურამში. გაზეთი „დროება" ამის თაობაზე 17 აგვისტოს წერდა: „ასეთი ლაზათიანი და მრავალფეროვანი წარმოდგენა თბილისსაც ძვირად ეღირება ხოლმე. მონაწილე პირნი შიშობდნენ, ვაითუ საზოგადოება ნაკლებად დაესწროს და ცდამ ტყუილად ჩაგვიაროსო, ამიტომაც რამდენჯერმე გადასდეს დანიშნული ვადა, მაგრამ მეტად საამურად მოსტყუვდნენ და მოსტყუვდნენ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ გორიდგან ბევრნი მოვიდნენ კვირას საღამოს წარმოდგენაზე დასასწრებლად. სურამლებმაც სრული თანაგრძნობა აღმოუჩინეს, ვეებერთელა დარბაზი სრულად გაავსეს და არამც თუ პირველ საათამდის გულს მოდგინედ ისხდნენ და სტკბებოდნენ, პირველ საათზედ აღარ აპირებდნენ წასვლას, წარმოდგენის გათავების შემდეგაც არხეინად ისხდნენ და კვლავ ელოდნენ დასატკბობ სანახავებს და გასაგონებსა."

საღამოზე წარმოადგინეს ილია ჭავჭავაძის სცენა მომრიგებელ მოსამართლესთან, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილის" მეოთხე მოქმედება და ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა, ეს არის." წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მსახიობი კოტე ყიფიანი, მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი და ადგილობრივი სცენის მოყვარეები.

წარმოდგენის ორგანიზატორებმა ქშწკგს გამგეობას გადასცეს 199 მანეთი და 53 კაპიკი. 1884 წლის 5 სექტემბერს გამგეობამ მოისმინა „ქაღალდი სურამის პრისტავისა" სურამში გამართული წარმოდგენის შესახებ და დაადგინა წარმოდგენის „მონაწილეთ მართველობის მაგიერ მადლობა მოეწეროს და ეცნობოს, რომ ფული მიღებულ იქმნა და ჯეროვანის ნომრით ჩაწერილი იქმნა წიგნში." დადგინებას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე.

იმავე წლის 25 სექტემბერს გაზეთი „დროება" წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამასწინათ სურამში გამართულს წარმოდგენიდამ მოგროვილი ფული, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას" უნდა გადასცემოდა, მოსვლია კიდეც ამ უკანასკნელს და ჩაწერილა შემოსავალი დავთარში."

1885 წლის 15 ოქტომბრის გამგეობის სხდომას ოქმის მიხედვით 4 და 18 აგვისტოს სურამში გამართული წარმოდგენიდან მიუღია 265 მანეთი და 53 კაპიკი. წარმოდგენების ხელმძღვანელები ყოფილან ეკატერინე მუატი და ქაიხოსრო ხერხეულიძე, რომელთაც მადლობას უცხადებს გამგეობა. ამ შემთხვევაშიც სხდომის გადაწყვეტილებას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე.

გაზეთ „დროების" ცნობით, სურამში 18 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია–ცაგარელისა და კოტე ყიფიანი. წარმოუდგენიათ რ. ერისთავის ცნობილი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს."

როგორც ჩანს, ამ დროს სურამში იმდენად ხშირად იმართებოდა წარმოდგენები ქშწკგს-ის სასარგებლოდ, რომ გაზეთი აღფრთოვანებული წერს: „სწორედ ადარა ხუმრობს სურამი და ნიშანს უგებს ბორჯომს, აბასთუმანს და სხვა საზაფხულო ადგილებს, რომლებიც ყურსაც არ იბერტყავენ ამ გვარ სასარგებლო საქმისთვის."

საზოგადოების 1894-1896 წლების მუშაობის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გამგეობამ დახმარების სახით „ხაშურითგან იქ გამართულის საცეკვაო საღამოს შემოსავალი 50 მანეთი და 80 კაპიკი" მიიღო.

1889 წლის 8 აგვისტოს სურამში კვლავ გაიმართა წკგს-ის სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგინეს რუსულ ენაზე ვოდევილი „ჟენა ნა პროკატ" და ა. ცაგარელის ცნობილი კომედია „ხანუმა". წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ნ.გაბუნია-ცაგარელისა და კ.ყიფიანი. წარმოდგენას ესწრებოდა პიესის ავტორი აქვსენტი ცაგარელი, რომელსაც საზოგადოება დიდი სიყვარულით შეხვედრია.

„ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო, ისე ბლომად, რომ ბევრი ისევ უკან დაბრუნებულიყო, რადგან დარბაზს ყველა მსურველი ვერ დაეტია. შემოსავალი ამისდა გვარად, იმედია კარგი უნდა იყოს"– წერდა გაზეთი „ივერია".

12 აგვისტოს კ. ყიფიანის და გ. მაჩაბლის მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

ორივე – 8 და 12 აგვისტოს, – წარმოდგენიდან წკგს-ის გამგეობამ მიიღო 322 მანეთი..

24 აგვისტოს საზოგადოების გამგეობა გაზეთ „ივერიის" მეშვეობით მადლობას უცხადებდა მონაწილეებს: ნ. გაბუნია-ცაგარელს, მ. ძნელაძეს, ა. კაშტალოსკის, ე. რომანოვას, ს. ციციშვილს, ხერხეულიძეს, ზედგენიძეს, კლიუჩარევის, კ. ყიფიანს, გ. მაჩაბელს, ს. მგალობლიშვილს, თ. ციციშვილს და ა. ცაგარელს.

1890 წლის 21 თებერვალს ნ. ციციშვილს, ვ. ყიფიანს, ი. ფანიაშვილს, ნ. სიდამონიძეს და გელიკურაშვილს სურამში საზოგადოების სასარგებლოდ წარმოუდგენიათ ა. ცაგარელის კომედია „ბაიყუში", რომელმაც „...ჩინებურად ჩაიარა" და მრავალი მაყურებელიც დასწრებია.

ასეთი და სხვა ხასიათის ღონისძიებები მომდევნო წლებშიც ხშირად იმართებოდა ხაშურის რეგიონში საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცალკე უნდა შევეხოთ ხაშურის საზოგადოების წარმომადგენელთა საქმიანობას ძველი ქართული ხელნაწერებითა და საისტორიო ნივთებით საზოგადოების მუზეუმისა და წიგნთსაცავის შევსების საკითხს.

1889 წელს საზოგადოების წიგნთსაცავისათვის ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს მათე სუხიევს შეუწირავს შემდეგი ხელნაწერი წიგნები: "ქრონოგრაფია არჩილ მეფისა", „ჟამნი", „ლოცვანი" და „სადღესასწაულო" ერთ წიგნად და ვახტანგ VI-ის მიერ 1710 წელს დაბეჭდილი „ტიბიკონი".

ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებულია იმავე წლის 12 სექტემბერს გაზ. „ივერიაში", საზოგადოება მადლობას უხდის მ. სუხიევს ამ შეწირულობისათვის.

1893 წელს საზოგადოებას გადაეცა ს. წრომში ნაპოვნი გულზე სატარებელი ღვთისმშობლის ძველი პატარა ბრინჯაოს ხატი, რომელიც მინანქრით ყოფილა დაფარული.

თუ საზოგადოების გამგეობამ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ვერ შეძლო ხაშურის

ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურში

რაიონში საკუთარი სკოლის გახსნა, სულ სხვა სურათი გვაქვს საბიბლიოთეკო საქმიანობის თვალსაზრისით. არაერთი საარქივო დოკუმენტი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს საზოგადოების მიერ რაიონში ბიბლიოთეკების დაარსებისა და უკვე არსებული ბიბლიოთეკებისათვის გაწეული დიდი დახმარების შესახებ. თვალსაჩინოა ის დიდი ღვაწლი, რასაც საზოგადოების გამგეობა იჩენდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის რაიონში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს რაიონის საზოგადოების მოწინავე ნაწილის დამსახურება ამ საქმეში.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან უკვე საზოგადოების გამგეობა დიდ დახმარებას უწევდა რაიონში არსებულ ბიბლიოთეკებს.

1896 წელს გამგეობამ საზოგადოების გამოცემული წიგნები და ჟურნალ „ჯეჯილის" 1890-1895 წლების ნომრები გაუგზავნა ს. ალის ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას. სხვა დოკუმენტიდან ჩანს, რომ გამგეობას ამ წელს ალის ბიბლიოთეკისათვის სულ გაუგზავნია 26 მანეთის ღირებულების წიგნები.

იმავე წელს საზოგადოებამ სურამის ბიბლიოთეკას 9 მანეთისა და 30 კაპიკის წიგნები გადასცა. იგივეს ჰქონდა ადგილი 1902 წელსაც. 1910 წელს გამგეობამ კვლავ აღმოუჩინა დახმარება სურამის ბიბლიოთეკას 10 მანეთისა და 5 კაპიკის ღირებულების წიგნებით.

1912 წელს 13 მარტს გამგეობის გადაწყვეტილებით, ხაშურის ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას გაეგზავნა საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები.

საზოგადოების საარქივო ფონდში დაცულია ცნობილი ქართველი ფოტოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე როინაშვილის მიერ სურამის ბიბლიოთეკისათვის შეწირული წიგნების სია. ალ. როინაშვილი სურამში ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. მას ბიბლიოთეკისთვის, გაზეთ „ივერიის" მიხედვით, წიგნები გადაუცია 1895 წლის ივლისსა და აგვისტოში. ალ. როინაშვილის ბიბლიოთეკისთვის სულ შეუწირავს 82 მანეთისა და 63 კაპიკის ღირებულების 150 ცალი წიგნი. აღნიშნული შეწირულობა მიუღია ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს, შემდგომში ცნობილ მეტყევეს მიხეილ მურვანიშვილს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ საზოგადოება წიგნებით დახმარებას უწევდა რაიონში არსებულ სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლები უწყებრივად მას არ ეკუთვნოდა. 1906 წლის 23 ოქტომბრის გამგეობის გადაწყვეტილებით ალის სკოლას საზოგადოება ეხმარება სასწავლო წიგნებით. 1907 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი გამგეობა ალის გლეხობას უფასოდ უგზავნის ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" 50 ეგზემპლიარს.

ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს გამგეობის მხრიდან გამოჩენილი ყურადღება იმ დიდი გულისტკივილის გამოხატულების დასტურად, რაც ქართველ ხალხში და კერძოდ კი ალის გლეხობაში გამოიწვია ილიას მკვლელობამ. ცნობილია, რომ ილიას დაკრძალვის პროცესზე ალის გლეხობისაგან გაგზავნილი იყო გვირგვინი პოეტისავე სიტყვების წარწერით: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი, ძლევამოსილი ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი, მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის."

სამგლოვიარო დეპეშებს შორის იყო აგრეთვე ალის საზოგადოებისაგან გაგზავნილი დეპეშაც.

1908 წელს საზოგადოება ს. ქვიშხეთში „სწავლებისთვის" ან. კლდიაშვილს უგზავნის წიგნებს. ამავე დროს თხოვს გამგეობას, წარმოუდგინოს „ანგარიში მეცადინეობის შესახებ."

გარდა იმ ყურადღებისა, რასაც საზოგადოების გამგეობა იჩენდა რაიონში არსებული ბიბლიოთეკების მიმართ, XIXს-ის 10-იანი წლებიდან თავადაც იწყებს აქ თავისი ბიბლიოთეკების გახსნას. უკვე 1915 წლისთვის საზოგადოებას რაიონში გააჩნდა ექვსი ბიბლიოთეკა.

საზოგადოებამ ბიბლიოთეკები პირველად 1911 წელს გახსნა გომსა და სურამში. 1912 წელს ბიბლიოთეკები დაარსებული იქნა ხაშურსა და ალში, ხოლო 1915 წელს ბეკამსა და ქვიშხეთში.

გამგეობამ ხაშურში ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ საკითხი 1911 წლის 13 ოქტომბერს განიხილა. გამგეობის სხდომაზე აღინიშნა რომ „დაბა ხაშურში მცხოვრებნი (30 კაცი) თხოულობენ ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს გახსნას... შენახვას თვითონვე კისრულობენ. ბიბლიოთეკის გამგედ და მთავრობის წინაშე პასუხისმგებლად დაუსახელებიათ ადგილობრივი მემამულე მ.ნ. შურღაია."

1912 წლის 26 თებერვალს შედგა ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა კრება, რომელმაც აირჩია სამზრუნველო გ. იოსელიანის, ტრ. ჯაფარიძის, ალ. ნაიტაკის, იას. ძნელაძისა და ივ. ტატიშვილის შემადგენლობით და დამტკიცება სთხოვა წკგს გამგეობას. ამავე დროს, ბიბლიოთეკის გამგეობა (სამზრუნველო) თხოვს გამგეობას, ახლადდაარსებულ ბიბლიოთეკას გაუწიოს დახმარება თავის გამოცემებით.

1913 წლის 13 მარტს საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცა ხაშურის ბიბლიოთეკის გამგეობის (სამზრუნველო) შემადგენლობა და მიიღო დადგენილება ბიბლიოთეკისათვის თავისი გამოცემების მიცემის შესახებ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რაიონში თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მათ შორის ბიბლიოთეკების მუშაობა შესუსტდა. იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაც. „აქ, (ხაშურში) არსებობს სამკითხველო, რომელიც ექვემდებარება ქშწკგს-ს. ამ საზოგადოების (იგულისხმება წკგს-ის ადგილობრივი ორგანიზაცია იხ. ქვემოთ) მოქმედების შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ის საღათის ძილს მისცემია და ჯერ კიდევ არ გამოუღვიძია. ვიტყვი მხოლოდ სამკითხველოს შესახებ. მეტად აუწერელ მდგომარეობაშია აქაური სამკითხველო, არავითარი ახალი წიგნი სამკითხველოში არ მოიძებნება და რაც ძველი ჰქონდათ, ისიც დაშლილი და დაუკაზმავი არის. გაზეთები მხოლოდ ერთი მოსდის „საქართველო", რომელიც პატივცემულმა ლ. ცისკარიძემ გამოუწერა ერთი წლით. კიდევ „ხალხის თავისუფლება" და „ალიონი", რომლის შესახებ გამგეობამ არც კი იცის, თუ ვინ გზავნის. აი ეს არის ჩვენი სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები. რუსული გაზეთებიდან მოდის ორი. სხვა გამოცემანი არც რუსული და არც ქართული ჟურნალ-გაზეთები აქ არ მოიპოვება. მკითხველთა რიცხვი ხუთიდან ათამდეა დღეში. ეს იმის ნიშანია, რომ სამკითხველოში არაფერია და ტყუილად, აბა, ვის რა უნდა შიგ. კედლებზედ შპალერი ჩამოგლეჯილი, სურათები დამტვრეული და რაღაც სამარცხვინოს წააგავს მისი მორთულობა."

ბიბლიოთეკამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მთლიანად შეწყვიტა მუშაობა და მხოლოდ 1919 წლის 1 მარტიდან განაახლა მუშაობა. „სამკითხველო დაკეტილი იყო დღიდან რევოლუციისა ამ წლის (1919) მარტის პირველ რიცხვამდე" – ნათქვამია საზოგადოების ხაშურის განყოფილების გამგეობის წევრის ვ. ზაქარეიშვილის მიერ საზოგადოების გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში.

ამავე წერილში ისიც არის აღნიშნული, რომ „დღეს დღეულად სამკითხველოს გაზეთებს უწერს აქ არსებული ხაშურის სცენისმოყვარეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა."

1919 წელს, როგორც ირკვევა, ბიბლიოთეკა ხაშურის თვითმართველობის მეურვეობაში გადასულა. იგივე ვ.ზაქარეიშვილი 1920 წლის 25 იანვარს წერდა: „...გადავწყვიტეთ, რომ სამკითხველო არ ყოფილიყო მუდმივ დაკეტილი, რითაც მოქალაქენი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, მიგვემართა ქალაქის თვითმმართველობისათვის თხოვნით, მიეღო სამკითხველო თავის მფარველობის ქვეშ მინამ პატრონი გამოუჩნდებოდეს. თხოვნა იქნა შეწყნარებული. დღეს სამკითხველო ღიათაა და მოსდის ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები."

ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა მუშაობას აგრძელებდა 1921 წლამდე, ხაშურში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ერთ საინტერესო საკითხსაც უნდა შევეხოთ. წკგს-ის საარქივო მასალები საყურადღებო ცნობას გვაწვდის ხაშურში გიმნაზიის შენობის აგების შესახებ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზიის სამზრუნველო, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა გიმნაზიისათვის შენობის აგება, ადგილის შერჩევის გამო ორ ნაწილად გაყოფილან და ვერ შეთანხმებულან, თუ სად უნდა აეგოთ შენობა. სამზრუნველოს უთხოვნია გამგეობისათვის, რომ იგი ჩარეულიყო ამ საქმეში და ადგილზე (ხაშურში) გადაეწყვიტა საკითხი.

გამგეობას სპეციალური კომისია შეუქმნია ხაშურში გამოსაგზავნად. მასში შედიოდნენ ალ. მდივანი, ალ. ყიფშიძე, ლ. ბოცვაძე, არ. ჯაჯანაშვილი და იპ. ვართაგავა, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ, თუ სად უნდა აგებულიყო გიმნაზიის შენობა.

ამდენად, ხაშურის გიმნაზიის (დღევანდელი I საშუალო სკოლის) შენობის ადგილის შერჩევაში საზოგადოების გამგეობამ აქტიური როლი ითამაშა, სწორედ მისი წინადადება და რჩევა გაითვალისწინა სამზრუნველომ გიმნაზიის შენობის ადგილის შერჩევის დროს.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ წკგს-ის განყოფილების ხაშურში დაარსების საკითხსაც.

1907 წლის 21 მარტს წკგს ძველი, 1879 წლის წესდება შეიცვალა და მთავრობამ დაამტკიცა ახალი წესდება. წესდების 25-ე მუხლით საზოგადოებას უფლება ეძლეოდა, ადგილებზე გაეხსნა თავისი განყოფილებები. საზოგადოებას ასეთი განყოფილებები ადგილებზე შესაძლებლობას აძლევდა, უფრო ფართოდ და ნაყოფიერად წარემართა თავისი მუშაობა. განყოფილებები სულ მალე შეიქმნა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1918 წლისათვის საზოგადოებას უკვე ჰქონდა 49 განყოფილება.

ხაშურის მოწინავე საზოგადოებრიობის ინიციატივით 1915 ფორმალურად უკვე დაარსდა და 1916 წელს ოფიციალურად გაფორმდა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების შექმნა.

1915 წელს ადგილობრივ განყოფილებაში გაერთიანებული ყოფილა 31 კაცი, რომლებსაც შეუტანიათ საწევრო გადასახადი თითოეულს 3-3 მანეთი. ამათ გარდა საზოგადოებაში გაწევრიანების სურვილი გამოუთქვამს კიდევ 27 კაცს, რომელთაც იმხანად თითო მანეთი შეუტანიათ.

1915 წლის 3 დეკემბერს საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ბურჯანაძე ადგილზე საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელს კ. ძნელაძეს წერდა: „მთავარმა გამგეობამ მიიღო თქვენ მიერ გამოგზავნილი 93 მანეთი ხაშურის განყოფილების წევრთა საწევრო გადასახადი.

მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ხაშურში განყოფილების დაარსების შესახებ შეიძლება მაშინ, როდესაც თქვენ, თანახმად ინსტრუქციისა, გამოგზავნით დამფუძნებელ წევრთა საორგანიზაციო კრების ოქმს...

გთხოვთ, დააჩქაროთ ასეთი ოქმის გამოგზავნა."

1916 წლის 31 იანვარს, კ. ძნელაძის ხელმძღვანელობით, მოწვეული იქნა ქშწკგს-ის ხაშურის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდა, დაარსებულიყო ადგილობრივი განყოფილება. ამ დროს განყოფილებაში ირიცხებოდა 74 წევრი.

კრებამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხაშურის რაიონში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, სახალხო სკოლისა და სახალხო უნივერსიტეტის გახსნის საჭიროება.

აირჩია დროებითი გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ალექსანდრე მდივანი, ლეონტი მეტრეველი და კონსტანტინე ძნელაძე. გამგეობის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს იოსებ ყაჭეიშვილი, ალექსანდრე უტალიშვილი და თადეოზ სხილაძე.

1916 წლის 16 თებერვალს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. ყაზბეგი თხოვდა თბილისის გუბერნატორს ხაშურის განყოფილების შექმნაზე ნებართვას.

იმავე წლის 12 ივლისს, საზოგადოების გამგეობის მდივანი ვ. ბურჯანაძე ხაშურის განყოფილების დროებით გამგეობას წერდა: „ხაშურში განყოფილების გახსნა ნებადართულია. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ, მოიწვიოთ საზოგადოების კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად."

ასეთი კრება გაიმართა 1916 წლის 14 სექტემბერს. კრებამ აირჩია გამგეობა ალექსანდრე მდივნის (თავმჯდომარე), კირილე ნინიძის, ნიკოლოზ სიხარულიძის, თეიმურაზ ჭუმბურიძის, ლეონტი მეტრეველის, ვასილი ზაქარეიშვილის, მიხეილ მარიამიძის შემადგენლობით. წევრობის კანდიტატებად აირჩიეს იაკობ გვარამაძე, დავით მელიქიძე და გერასიმე ხაბეიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიაში ნიკიფორე იმნაიშვილი, ნოე დევიძე და ვასილ გოგიაშვილი.

ხაშურში საზოგადოების განყოფილების შექმნა მეტყველებს ადგილობრივი საზოგადოებრიობის მაღალ შეგნებულობაზე, იმ დიდ საქმიანობაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაზრისით.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოების ხაშურის განყოფილებამ თავისი საქმიანობა ისე ვერ წარმართა, როგორც ეს მოსალოდნელო იყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ სულ მალე მოხდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, საზოგადოების გამგეობისა და თვით საზოგადოების წევრების უმრავლესობა რაიონიდან წავიდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების საერთო მდგომარეობაზე.

გაზეთი „საქართველო" 1917 წლის აგვისტოში უკვე წერდა, რომ ხაშურში „...არის საშუალო სასწავლებლები, სავაჟო და საქალებო და მრავალი დაწესებულებანი, მაგრამ ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება აქაური ქშწკგს საზოგადოება, მისი ხელქვეითი სამკითხველო და ქართული დრამატული წრე."

1918 წლის 10 თებერვალს, ქშწკგს-ის რწმუნებულთა საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს მოქმედების უნარიანობა ვერ გამოუჩენიათ.

1918 წლის 10 თებერვალს, ქშწკგს-ის რწმუნებულთა საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს მოქმედების უნარიანობა ვერ გამოუჩენიათ. ასეთ განყოფილებათა შორის დასახელებულია ხაშურის განყოფილებაც.

1919 წლის 25 მაისს, ქშწკგს რწმუნებულთა კრებაზე სხვა განყოფილებებთან ერთად დაისვა ხაშურის განყოფილების ლიკვიდაციის საკითხიც. ლიკვიდაციის მიზეზად კრება შემდეგ გარემოებას ასახელებდა: „საანგარიშო წლის განმავლობაში, ისე როგორც წარსული 1918 წლის განმავლობაშიც, საზოგადოების განყოფილებები ფაქტიურად არ მოქმედებდნენ. განყოფილებათა მოქმედების შეჩერების და უმოქმედების მიზეზი აღვილი ასახსნელია: ყველა ის კულტურული ძალები, რომელნიც წინათ ფილიალ-განყოფილებათა გამგეობაში მუშაობდნენ დღეს ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების მუშაობაში ჩაებნენ. გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ მოახდინოს ლიკვიდაცია ყველა იმ ფილიალის, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და ფაქტიურად კი არ მოქმედობს, ფილიალთა ქონება გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს."

1920 წლის 3 იანვარს, განყოფილების გამგეობის წევრი ვ. ზაქარეიშვილი საზოგადოების გამგეობის მდივანს წერდა, რომ 1917 წლის თებერვალს „...რევოლუციის შემდეგ... ის (ე.ი. ადგილობრივი გამგეობა) დარჩა ღვთის ანაბარად, მით უფრო, რომ თანამდებობის პირნი ამ გამგეობისა... გადასახლდნენ სხვადასხვა ქალაქებში. დავრჩი მე მარტო. დიდი შრომის შემდეგ შევძელი, მომეწვია საზოგადო კრება, რომელსაც გავაცანი საქმის მდგომარეობა. იქნა არჩეული ახალი გამგეობა, რომელიც არჩევნების მეორე დღესვე მოკვდა და დღესაც სულგანაბული განისვენებს... არ ვიცი, რამდენად სწორია მოქმედება ჩემი, მხოლოდ გამოსავალი ჯერჯერობით არ იყო მეტი. კვლავ მოვიწვევდი საზოგადო კრებას, მაგრამ შემეშინდა, იმის გამგეობაც არ მომკვდარიყო.

ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ პროვინციაში საერთოდ ცოტანი არიან მამოძრავებელი ელემენტები, რის გამოც ერთსა და იმავე პიროვნებებს აკისრია მრავალი საქმეები, რომლებსაც ისინი ვერ აუდიან.

თუკი თქვენგან მივიღებ რაიმე დარიგებას ამ საქმის სიმაღლეზე დასაყენებლად, ყოველ ღონეს ვიხმართ ამხანაგებთან ერთად საქმის მოსაგვარებლად."

როგორც ჩანს, არც საზოგადოების გამგეობიდან ყოფილა რაიმე მითითება ადგილზე მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით და არც ხაშურის განყოფილებას გაუწევია რაიმე მნიშვნელოვანი მუშაობა. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ხაშურის განყოფილება ფორმალურად მაინც აგრძელებდა არსებობას 1921 წლამდე.

თამაზ ლაცაბიძე

- მედიცინა -

ვასო ძინძიბაძე - პრობლემები არის, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რადიკალურად შევცვალოთ სიტუაცია

სამედიცინო მომსახურების სფერო, ნელ-ნელა ადამიანის სიცოცხლეზე ორიენტირებულ სფეროდ იქცა. ჩვენს ქალაქში ამის მოლოდინს ორი, მაღალი ტექნიკური სტანდარტების საავადმყოფო ქმნის. ჩვენი მკითხველი, რეგულარულად იღებს ინფორმაციას იმ სიახლეების შესახებ, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებები პაციენტებს სთავაზობენ. ტექნიკური გადაიარაღება, ახალი, პროფესიონალი კადრები ნამდვილად აჩენს პაციენტთა ნდობას. თუმცა, პრობლემები აშკარად არსებობს და ამაზე საუბარს არც არავინ გაურბის, პირიქით, სწორედ იმ მიმართულებას ავითარებენ და აძლიერებენ, სადაც თვლიან, რომ ჩარევა საჭირო. ჩვენი ვიზიტი, ხაშურის ახალ საავადმყოფოში, „ევექსის“ ფილიალში, გინეკოლოგიურ განყოფილებაში, მიმდინარე ცვლილებებს შეეხო. რამდენიმე ხნის წინ, პაციენტის გარდაცვალებამ, ბევრი კითხვა და ნეგატივი დააგროვა მოსახლეობაში. რეორგანიზაცია, მანამდეც დაწყებული იყო და ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. ამაზე სასაუბროდ, სამეანო გინეკოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელს, ცნობილ ექიმ-გინეკოლოგს ბატონ ვასო ძინძინბაძეს ვესტუმრეთ:

- ბატონო, ვასო, რატომ გახდა საჭირო რეორგანიზაცია?

–ნებისმიერ სფეროს რეორგანიზაცია მუდმივად სჭირდება, მითუმეტეს, მედიცინას, რომელიც სულ განახლებადი და სიახლეებზე ორიენტირებული უნდა იყოს. სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობის შემდეგ, ისევ "ევექსის" ახალ კლინიკაში დავბრუნდი, როგორც უკვე სამეანო გინეკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი. შესაცვლელი რომ ბევრი რაღაც არის და განახლებას საჭიროებს, ამის გადაწყვეტილება ადმინისტრაციამ მიიღო. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, კლინიკა, ფაქტობრივად ბევრ სამედიცინო მანიპულაციას და მომსახურებას ვერ სთავაზობს პაციენტებს, რაც იწვევს მათ გადინებას ქალაქიდან, ჩნდება უნდობლობა. ამ ეტაპზე, ოპერაციები ფაქტობრივად არ მიმდინარეობს და პაცინტს, როცა სრულ სერვისს ვერ სთავაზობ, იძულებულია წავიდეს სხვა ქალაქში. სწორედ ამის გამოსწორებას ვცდილობთ სხვადასხვა მიდგომებით და სერვისების დამატებით, რაც პაციენტებს შეუქმნით კომფორტს და დარწმუნდებიან, რომ მათ პროფესიონალები ემსახურებიან.

- ამ ეტაპზე, რა ტიპის მომსახურებას უწევთ პაციენტებს?

–ამჟამად, თითქმის ყველა ტიპის გინეკოლოგიურ და სამეანო მომსახურების მიღება შეუძლია პაციენტს ჩვენთან. ტექნიკურმა განახლებამ, მოგვცა იმის შესაძლებლობა, დავგეგმოთ და განვახორციელოთ ისეთი ტიპის ჩარევები, რაც აქამდე სხვადასხვა მიზეზების გამო, არ განხორციელებულა. ეს იქნება, სხვადასხვა სირთულის ოპერაციები თუ ლაბორატორიული კვლევები, რაც პაციენტებს მისცემს საშუალებას, სხვა ქალაქებში წაუსვლელად დაზოგონ ფულის და დროის რესურსი.

- რა გეგმები გაქვთ, რისი შეცვლას გეგმავთ?

–ახალი სერვისების დამატება გვინდა, უნდა გაიზარდოს ჩარევების რაოდენობა, გინეკოლოგიური ოპერაციები. ფაქტობრივად, აქამდე არაფერი არ კეთდებოდა. მაქვს სხვადასხვა გინეკოლოგიური სირთულის ოპერაციების კეთების გამოცდილება, ერთადერთი, რაც აქ არ გაკეთდება, ონკოლოგიური გინეკოლოგია იქნება, აქედან გაიგზავნება ნიმუში, რომლის შემდეგაც მოხდება პაციენტის გადამისამართება. დიდი მოლოდინი გვაქვს, დაინერგოს ლაპარასკოპიული ოპერაციები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ ეტაპზე არ გვაქვს ამის საშუალება, თუმცა ვფიქრობთ ამ სერვისის დანერგვაზეც.

- რამდენი ექიმი მუშაობს ამ ეტაპზე გინეკოლოგიური მიმართულებით და ამ მხრივ თუა რაიმე ცვლილება?

–ამ ეტაპზე, ექვსი ექიმი ვემსახურებით პაციენტებს. გვყავს თბილისიდან მოწვეული ორი მაღალკვალიფიციური ექიმი. კონსულტაციაში ძველი ექიმები დარჩნენ. ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ, ვნახოთ, ახალი სერვისების დამატება რა ცვლილებებს მოითხოვს.

- ყველაზე დიდ პრობლემად რას თვლით ამ ეტაპზე?

–ბევრი ისეთი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაც ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ პრობლემად, მშობიარე პაციენტების გადინებაა ქალაქიდან, რაც სხვადასხვა მიზეზებით აიხსნება. ნოემბერში ჯერ მხოლოდ ორი მშობიარე მივიღეთ, ოქტომბერში 14 მშობიარე იყო. რაც სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. რამდენიმე კერძო კლინიკაა, რომელსაც საკმაოდ ბევრი პაციენტი ჰყავს და ისინი ამისამართებენ სხვადასხვა ქალაქში. ჩემი მიზანია, იმ ტექნიკური რესურსის გამოყენებით, რომელიც საავადმყოფოს ახალი რეორგანიზაციის პირობებში უკვე აქვს, ვუზრუნველვყოთ მშობიარეთა ყველა ტიპის მომსახურება. იყო დრო, როცა თვის განმავლობაში, 45 მშობიარე შემოდიოდა. ყველაფერს ვაკეთებთ პაციენტთა ნდობის დასაბრუნებლად და მათთვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გასაწევად.

- რეპროდუქციულ მიდგომებში და მომსახურებაში თუ იქნება რამე სიახლე?

–რაც შეეხება რეპროდუქციას, ესეც სპეციალიზებული დახმარებაა. ჩვენთან ინ ვიტრო და ხელოვნურ განაყოფიერების გაკეთებას ვერ შევძლებთ, უშვილობის მკურნალობას ისევ კონსერვატიული მკურნალობით გავაგრძელებთ. მოხდება ჰორმონალური გამოკვლევები, სპერმოგრამა, სტიმულაციები. აქამდე, ყველა ეს კვლევა, თბილისში ხდებოდა, აქედან წასული პაციენტი კი იქვე რჩებოდა. ამიტომ, მკურნალობა, ისევ კონსერვატული მიდგომებით ხორციელდება.

- აუცილებლად უნდა შევეხოთ გარდაცვალების ფაქტს, რომელზე საუბარსაც ვერ ავუვლით გვერდს. რა ეტაპზეა ძიება და დადგინდა თუ არა მედ. პერსონალის გადაცდომა?

–ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. ამ ეტაპზე არაფერია ცნობილი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არაა ჯერ. ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეჩერებინა იმ ექიმებისთვის ხელშეკრულება, თუმცა, მათ ლიცენზია არ შეჩერებიათ. ყველაფერი შესაბამისი დასკვნების საფუძველზე მოხდება. ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდები არსებობს. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები, ყოველწლიურად დებენ გარდაცვალების შემთხვევების მონაცემებს და ჩვენდა სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ხდება, თუმცა, ჩვენი მიზანია, რომ მათი რაოდენობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

-ბატონო ვასო, სასიამოვნოა, რომ პრობლემებზე საუბარს არ ერიდებით, და მაინც, სხვა რა ტიპის პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგახართ?

–პრობლემები არსებობს სხვადასხვა მიმარულებით. ექიმების და მომსახურე პერსონალის ხელფასები იმდენად მცირეა, წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ, მიუხედავად იმისა, რომ ექიმი, ადამიანის სიცოცხლეზეა პასუხისმგებელი. და მაინც, ჩემს თანამშრომლებს ყოველთვის მაქსიმუმის გაკეთებას ვთხოვ, პაციენტი არაა დამნაშავე ამაში, ის გენდობა, შენი იმედი აქვს, თუ არ გაკმაყოფილებს ხელფასი და პრეტენზია გაქვს, სხვა ადამიანია თანახმა, რომ იგივე საქმე, იგივე ხელფასით შეასრულოს. ნამდვილად ცუდი მომენატია ამაზე ხმამაღლა საუბარი, თუმცა რეალობა ასეთია და ვერსად გავექცევით.

* * *

მოლოდინი ნამდვილად დიდია და ბატონი ვასოს პროფესიონალიზმი და კარგი მენეჯერული უნარები, გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება უკეთესობისკენ.

თ. ჯავახიშვილი

ლუკა ბერძენიშვილი - დეკორატორი მომავლის ხედვით

ლუკა ბერძენიშვილი ხაშურის IV საჯარო სკოლის მოსწავლეა. ქაღალდებისგან, ნაჭრებისგან სხვადასხვა დეკორაციებს აწყობს. ამაზე ხმამაღლა არ საუბრობს, ფიქრობს, რომ ჯერ განსაკუთრებულს და ღირებულს არაფერს აკეთებს. ლუკას ნიჭის შესახებ, მისი მასწავლებლისგან გავიგეთ, მანვე ურჩია ლუკას, სამომავლოდაც ეს პროფესია აირჩიოს. ლუკა ძალიან მონდომებული და შრომისმოყვარე აღმოჩნდა, რაც მის ნამუშევრებს ნამდვილად ეტყობა.

- ლუკა, რამდენი ხანია ამ საქმით დაინტერესდი?

–ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა დავინტერესდი ხელნაკეთი ნივთების შექმნით. ვაკეთებდი პატარა ყვავილებს, მარტივ დეკორაციებს, რასაც განსაკუთრებული ძალისხმევა არ ჭირდებოდა. ნელ-ნელა ამან უფრო სერიოზული სახე მიიღო, ინტერესი მიჩნდებოდა, უფრო დიდი დეკორაციები მეკეთებინა. თავდაპირველად, ქაღალდებზე მუშაობა დავიწყე, მარტივიც იყო და თან ნელ-ნელა ვიხვეწებოდი.

- ძირითადად რას აკეთებ?

–რკინის დეკორაციას ვაწყობ და შემდეგ, სხვადასხვა მასალის გამოყენებით ვაფორმებ, ვუკეთებ ყვავილებს. 2-3 წელია ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და ტექნიკაც დავხვეწე. ძალიან მომწონს დიდი დეკორაციების კეთება, რომელიც ისედაც ძალიან ლამაზია და ინტერიერს განსაკუთრებით უხდება. ჩემი მეზობელია დიზაინერი და მისგანაც ბევრს ვსწავლობ.

- შენი გატაცებისა და ნიჭის შესახებ, სკოლაში თუ იციან?

–ამაზე ხმამაღლა არ მისაუბრია. მხოლოდ იმ მასწავლებლებმა იციან, რომლებიც სახლში იყვნენ სტუმრად. ძალიან მოეწონათ და მთხოვეს, არ დამენებებინა თავი ამ საქმისთვის და სამომავლო პროფესიად ამერჩია.

- ნამუშევრებს თუ ყიდი? სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

–საკმაოდ ბევრი შეკვეთა მქონდა, აღებული თანხით, ისევ მასალა ვიყიდე, რომ მეტი ნივთი გამეკეთებინა. სახლში ძალიან მოწონთ ჩემი საქმიანობა და ძალიან მიწყობენ ხელს. ვაპირებ, რომ სხვადასხვა გამოფენებზე გავიტანო ნამუშევრები. თუ გამიმართლა, მინდა ჩემი პროფესიად ვაქციო. ძირითადად, ინტერნეტით ვიღებ ინფორმაციას, ვსწავლობ, მაგრამ ჩემს ინდივიდუალიზმს ყოველთვის ვდებ, რაც განსხვავებულს ხდის ჩემს ნამუშევრებს.

თ. ჯავახიშვილი

- ფეხბურთი -

ხაშურის „დურუ“ შიდა ქართლი - მცხეთა- მთიანეთის ზონის ჩემპიონია

დასრულდა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ზონალური პირველობა მოყვარულთა შორის, რომელშიც ხაშურის გუნდი „დურუ“ ჩემპიონი გახდა. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ჩემპიონატი, რომელიც უეფა-ს ეგიდით ტარდება, გაზაფხულზე დაიწყო. გუნდები, ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, ზონებში გადანაწილდნენ. ჩვენი გუნდი შიდა ქართლის

და მცხეთა-მთიანეთის ზონაში ასპარეზობდა, სადაც ათი გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის. ჩვენს ფეხბურთელებს სულ 18 თამაშის ჩატარება მოუხდათ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მართლაც დიდებულად იასპარეზეს - 18 მატჩიდან 17-ში გამარ-

ჯვება მოიპოვეს და მხოლოდ ერთი მარცხი იწვნიეს. ბრწყინვალე შედეგია, რაზეც გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდებაც მეტყველებს. – 48:8.

გასულ კვირას, ჩემპინატის ორგანიზატორებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს „დურუს“ ფეხბურთელები და მედლები და თასი გადასცეს, როგორც ზონალური პირველობის ჩემპიონს. თუმცა, ამით არ დასრულებულა „ინტრიგა“ და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ახლა იწყება: 9 ზონის გამარჯვებულები და ვერცხლის მედალოსნები, ფლეი-ოფის პრინციპით, ერთ გამარჯვებულს გამოავლენენ, რომელიც, მოყვარულთა შორის, საქართველოს ჩემპიონის ტიტულთან ერთად, ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მოიპოვებს. დღეისათვის უცნობია ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე. წილისყრა 16 ნოემბერს გაიმართება და თარიღიც, გუნდიც მაშინ გახდება ცნობილი. ფლეი-ოფის თამაშები თბილისში გაიმართება და ერთმატჩიანი იქნება. იმედია, ჩვენს ბიჭებს, ხაშურელი გულშემატკივრების სახით, მხარდამჭერები მრავ-

მოყვარულთა თასი

მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონალური ეტაპი

		თ	მ	ფ	წ	გ - გ	+/-	ქ
1	დურუ	18	17	0	1	48-8	40	51
2	მეჯვრისხევი	18	16	0	2	70-20	50	48
3	ფრონე	18	15	0	3	56-19	37	45
4	მცხეთა	18	9	1	8	45-34	11	28
5	გიგანტი	18	8	2	8	29-26	3	26
6	ჯვაროსნები	18	8	1	9	39-48	-9	25
7	დუშეთი	18	6	2	10	32-37	-5	20
8	გომი	18	4	0	14	19-60	-41	12
9	ყაზბეგი	0	0	0	0	0-0	0	0
10	გორგია	0	0	0	0	0-0	0	0

adjarasport GAFA GFDF

ლად ეყოლება, ისინი მართლაც იმსახურებენ ამას. დღეისათვის კი „დურუ“ აქტიური მზადების პროცესშია და იმედია, მათი შრომა უკვალოდ არც ჩაივლის. ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ღმერთმა ქნას, მოყვარულთა შორის ევროპის ლიგის გათამაშებაში ხაშურის სახელმაც გაიჟღეროს. ჩვენი ბიჭების შემართებას და მონდომებას რომ ვუყურებთ, ამ ოცნების ჰორიზონტამდე მანძილი არცთუ ძალიან შორსაა. მოკლედ, დავუცადოთ მერვედფინალურ მატჩებს, მანამდე კი კიდევ ერთხელ ვულოცავთ „დურუს“ მთელ შემადგენლობას ამ გამარჯვებას.

გ. გოგოლაძე

მეოთხე საჯარო სკოლაში "ბარაქიანი შემოდგომის" ზეიმი გაიმართა

25 ოქტომბერს, ხაშურის IV საჯარო სკოლაში, ტრადიციად ქცეული ღონისძიება, "ბარაქიანი შემოდგომა" გაიმართა. დაწყებითი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, მეორე წელია ამ დღეს, განსაკუთრებული მასშტაბურობით ხვდებიან. წელსაც, ღონისძიება სხვადასხვა სანახაობით იყო წარმოდგენილი, მოსწავლეებმა გააცოცხლეს საშემოდგომო ტრადიციები საქართველოს ყველა რეგიონებიდან, ამოავლეს ჩურჩხელები, მოამზადეს საშემოდგომო სუფრა. ღონისძიება, ერთნაირად საინტერესო და სანახაობრივი აღმოჩნდა მაყურებლებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის კი, ყველაფერთან ერთად, შემეცნებითი სახეც ჰქონდა და ბავშვებმა ბევრი რამ ისწავლეს ქართული ტრადიციების თუ სხვა ეროვნული ყოფითი ელემენტების შესახებ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.